8
1960

ეროვნული ბიბლიოთეკა




სოფელ ახალი სამგორის შ. რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში 1959 წელს შრომისუნარიან წევრთა მხოლოდ 30-მა პროცენტმა გამოიმუშავა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

— ამ ყანწით, მეგობრებო, ჩვენს საყვარელ კოლმეურნეობას გაუმარჯოს. მართალია, შრომადღეები გვაკლია, მაგრამ სადღეგრძელოებს ხომ არ ვიკლებთ?!..

№ 9 თბილისი მაისი 1960

# ნიანგი

# კითხვა-

ამას წინათ ნიანგმა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ სოფლკორთათვის გამართა კითხვა-პასუხის საღამო. სოფლკორებმა მთელი რიგი შეკითხვებით მიმართეს ნიანგს, რომელთა პასუხებსაც ვაქვეყნებთ ჟურნალში.



**კითხვა:** (ჭკადუა ბონდო) პატივცემულო ნიანგო, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარს ჩამოუდის პატარა მდინარე ჯუმი. ამ მდინარეზე ხუთი წლის წინ ხიდი ჩატყდა და ორი წლის წინ დაიწყეს კაპიტალური ხიდის მშენებლობა, ერთ მხარეზე აღმართეს ბეტონის ბურჯი და შემდეგ შეწყვიტეს მუშაობა. ხომ ვერ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, როგორ მოვიქცეთ ჯიხაშკარის მცხოვრებნი ან როდის დამთავრდება ხიდის მშენებლობა?

**პასუხი:** ხიდის მშენებლობის დამთავრებას, როგორც ვიცი, კარგი პირი არ უჩანს და ვერაფერს დაგპირდებით საიმედოს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოიქცეთ ჯიხაშკარელები, სიამოვნებით გიპასუხებთ. მდინარის გაღმა თუ მოკრავთ თვალს ხიდის მშენებლობის მთავარ ინჟინერს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მიადექით ნაპირს და გულდათუთქული ხმით უმღერეთ ვაჟა ფშაველას ცნობილი ლექსი ასეთი ვარიაციით:

«გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით თქვენ,
თქვენ სახეს ვხედავთ მცინარეს,
მაგრამ ვერსაით გამოველთ
ამ სატიალე მდინარეს».

**კითხვა:** (ნ. ხომერიკი) პატივცემულო ნიანგო, მაპატიეთ ასე ჩქარ-ჩქარა რომ ვლაპარაკობ, მაგრამ, რა ვქნა, გურული ვარ. საქმე ისაა, რომ მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალში ავტობუსი დადიოდა და მომსახურებას გვიწევდა. 1959 წლის 19 სექტემბერს უკანასკნელად ჩამოგვიქროლა და



მას შემდეგ თვალით აღარ გვინახავს. ხომ არ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, რა იქნა ჩვენი ავტობუსი, ან რას გვიპირებს ქალაქ მახარაძის ავტოინსპექცია?

**პასუხი:** ძალიან სამწუხარო ამბავი გავიგე. სხვათა შორის, ახლა ვაპირებთ სოფელ თხინვალში ჩამოსვლას, მაგრამ, თუ ავტობუსი აღარ დადის, არ ვიცი როგორ მოვიქცე. გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, გადასცეთ მახარაძის ავტოინსპექციას, ჩამოსულს ცხენი მაინც დამახვედროს.

**კითხვა:** (ქ. ბურდიანელი) ძვირფასო ნიანგო, საგარეჯოს რაიონის სოფელ ბურდიანში ბიბლიოთეკაცა გვაქვს და კლუბიც, ორივე შენობის მეორე სართულზეა მოთავსებული. შენობა ისეა მოფამფალებული, რომ კლუბის გამგისა და ბიბლიოთეკარის საცოდაობით ვიწვებოდით, შიგ არ გამორაგულიყო. ამ ხუთი თვის წინ ბიბლიოთეკარმა თავს უშველა და გათხოვდა მეზობელ სოფელში. სულ დოლ-გარმონით გავაცილეთ. მერე ახალი ბიბლიოთეკარი და კლუბის გამგე დაგვინიშნეს, რომელიც, არ ვიცით შიშით, არ ვიცით სიზარმაცით, ახლოს აღარ ეკარება კლუბს და ბიბლიოთეკა სულ გამოკეტილი აქვს, 40 შრომადღეს კი იწერს. ხომ ვერ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, როგორ მოვიქცეთ.

## „კულტუროსანი" ქალიშვილი

ყვითლად გაუთხუპნია
თმა და რა თმა—გიშერი!
გაკრეჭილს და მკერდშიშველს
ზურგიც უჩანს შიშველი.
ეტრფის ქღარუნს, ბრახაბრუხს,
თავს სთვლის გამოჩენილად..
მშობლიური?—რას ამბობთ,
ხომ არ ჩამორჩენილა!
კონიაკსაც მიირთმევს,
თვითონ ამის მოწმე ვარ,
«ხუთზე» დაუფლებია
პაპიროსის მოწევას.
ახალ-ახალ სიტყვათა
ძებნაშია გართული,
«შაყირით» და «ნატურით»
გაამდიდრა ქართული!
ნუ აკადრებთ საყვედურს,
ნუ დასძრახავთ წყენითა,
ხომ არ ილაპარაკებს
მაშ ორღობის ენითა!
სხვა რა გითხრათ, რა ვკადრო
მის უმიზნო ხეტიალს...
რაც მელანი დავხარჯე,
მისთვის ესეც მეტია!

**ა. ბეგაშვილი**




— იპოლიტე, შეხედე რა მშვენიერ უნივერმაღს აშენებენ!
— მაგის აშენებას საწყობი აეშენებიათ ის ჯობდა, სულ ერთია, საქონელს მაინც იქიდან ყიდიან!



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კითხვა-პასუხის საღამო

ამას წინათ ნიანგმა საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ სოფლკორთათვის გამართა კითხვა-პასუხის საღამო. სოფლკორებმა მთელი რიგი შეკითხვებით მიმართეს ნიანგს, რომელთა პასუხებსაც ვაქვეყნებთ ჟურნალში.



**კითხვა:** (შკადუა ბონდო) პატივცემულო ნიანგო, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარს ჩამოუდის პატარა მდინარე ჯუმი. ამ მდინარეზე ხუთი წლის წინ ხიდი ჩატყდა და ორი წლის წინ დაიწყეს კაპიტალური ხიდის მშენებლობა, ერთ მხარეზე აღმართეს ბეტონის ბურჯი და შემდეგ შეწყვიტეს მუშაობა. ხომ ვერ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, როგორ მოვიქცეთ ჯიხაშკარის მცხოვრებნი ან როდის დამთავრდება ხიდის მშენებლობა?

**პასუხი:** ხიდის მშენებლობის დამთავრებას, როგორც ვიცი, კარგი პირი არ უჩანს და ვერაფერს დაგპირდებით საიმედოს. რაც შეეხება იმას, თუ როგორ მოიქცეთ ჯიხაშკარელები, სიამოვნებით გიპასუხებთ. მდინარის გაღმა თუ მოკრავთ თვალს ხიდის მშენებლობის მთავარ ინჟინერს და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მიადექით ნაპირს და გულდათუთქული ხმით უმღერეთ ვაჟა ფშაველას ცნობილი ლექსი ასეთი ვარიაციით:

«გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით თქვენ,
თქვენ სახეს ვხედავთ მცინარეს,
მაგრამ ვერსაით გამოველთ
ამ სატიალე მდინარეს».

**კითხვა:** (ნ. ხომერიკი) პატივცემულო ნიანგო, მაპატიეთ ასე ჩქარ-ჩქარა რომ ვლაპარაკობ, მაგრამ, რა ვქნა, გურული ვარ. საქმე ისაა, რომ მახარაძის რაიონის სოფელ თხინვალში ავტობუსი დადიოდა და მომსახურებას გვიწევდა. 1959 წლის 19 სექტემბერს უკანასკნელად ჩამოგვიქროლა და



მას შემდეგ თვალით აღარ გვინახავს. ხომ არ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, რა იქნა ჩვენი ავტობუსი, ან რას გვიპირებს ქალაქ მახარაძის ავტოინსპექცია?

**პასუხი:** ძალიან სამწუხარო ამბავი გავიგე. სხვათა შორის, ახლა ვაპირებთ სოფელ თხინვალში ჩამოსვლას, მაგრამ, თუ ავტობუსი აღარ დადის, არ ვიცი როგორ მოვიქცე. გთხოვთ, თუ არ შეწუხდებით, გადასცეთ მახარაძის ავტოინსპექციას, ჩამოსულს ცხენი მაინც დამახვედროს.

**კითხვა:** (ქ. ბურდიანელი) ძვირფასო ნიანგო, საგარეჯოს რაიონის სოფელ ბურდიანში ბიბლიოთეკაცა გვაქვს და კლუბიც. ორივე შენობის მეორე სართულზეა მოთავსებული. შენობა ისეა მოფამფალებული, რომ კლუბის გამგისა და ბიბლიოთეკარის საცოდაობით ვიწვებოდით, შიგ არ გამორაგულიყო. ამ ხუთი თვის წინ ბიბლიოთეკარმა თავს უშველა და გათხოვდა მეზობელ სოფელში. სულ დოლ-გარმონით გავაცილეთ. მერე ახალი ბიბლიოთეკარი და კლუბის გამგე დაგვინიშნეს, რომელიც, არ ვიცით შიშით, არ ვიცით სიზარმაცით, ახლოს აღარ ეკარება კლუბს და ბიბლიოთეკა სულ გამოკეტილი აქვს, 40 შრომადღეს კი იწერს. ხომ ვერ გვეტყვი, პატივცემულო ნიანგო, როგორ მოვიქცეთ.

**პასუხი:** ის მეორე ბიბლიოთეკარიც, თუ ქალია, გაათხოვეთ, ხოლო კლუბი და ბიბლიოთეკა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლში გადაიტანეთ, ვიდრე ახალ კლუბს და ბიბლიოთეკას არ ააშენებს.

— აგაშენათ ღმერთმა, დიდი მადლობელი ვარ.

**კითხვა:** (ჯ. ასათიანი) პატივცემულო ნიანგო, ცაგერის რაიონის სოფელ ქორენიშს, ისევე როგორც ყველა სოფელს, აქვს პატარა მაღაზია. მაღაზიამ ამ ბოლო დროს მოგზაურობა დაიწყო. საქმე შემდეგშია: პირველად გამყიდველმა მაღაზია სოფლის თავში გადაიტანა თავის სახლში, ზამთარია, სიცივეა, სახლში უფრო თბილად ვიქნებით. შემდეგ მეორე დანიშნეს გამყიდველად, იმან სოფლის მეორე ბოლოში წაიღო, თავის სახლთან. ახლა მესამე კაცი დანიშნეს და იმანაც თავის სახლს ამოუყენა გვერდით. ჩვენ კი დავრბივართ აქეთ-იქით. ხომ არ გვასწავლი, პატივცემულო ნიანგო, რა ვუყოთ სოფლის მაღაზიას, სად დავდგათ ბოლოს და ბოლოს?

ნიანგი



**პასუხი:** დადგით მაღაზია სოფლის ცენტრში, დააბით პალოებზე მსხვილი ჯაჭვით და მიუჩინეთ ყარაული. თუ მაინც არ მოიშალონ და ისევ გადატანა დაუპირონ, მაშინ გახსენით უგამყიდველო მაღაზია.

**კითხვა:** (შ. სუფსისპირელი) ძვირფასო ნიანგო, მახარაძის რაიონის სოფელ განახლებაში ამ ხუთიექვსი წლის წინათ დაიწყეს კაპიტალური საწყობის მშენებლობა. კედლები ნახევრამდეც არ იყო ამოყვანილი, რომ სამშენებლო მასალა გაუთავდათ. შეიცვალა კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ახალმა თავმჯდომარემ ახალი საწყობის მშენებლობა დაიწყო ახალ ადგილას და მასაც შემოაკლდა მასალა. ახლა ორი «საწყობი» გვაქვს, ორთავე დაუმთავრებელი და ჟამთა სიავით ქონგურჩამოშლილი ციხე-დარბაზებივით ამშვენებენ ჩვენს სოფელს და ისტორიულ ელფერს აძლევენ. ხომ [illegible] გვასწავლის პატივცემული ნიანგი, როგორ მო[illegible] [illegible] მშრომელები?



**პასუხი:** გამოცვალეთ თავმჯდომარე და თუ ახალმა ახალი საწყობის მშენებლობა დაიწყო, მაშინ სამ [illegible] მერე ამ ნა[illegible] და[illegible] ლები [illegible] დაგპირდებათ საწყობი, იმ პირველ ნახევარ საწყობს მიუმატეთ მეორე ნახევარი საწყობი და მიიღებთ ერთ მთლიან კაპიტალურ საწყობს.

კითხვა-პასუხის საღამომ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

ნიანგი დაპირდა სოფლკორებს, რომ უახლოეს დროში კვლავ გამართავს მათთვის ასეთ საღამოს.

## „კულტურიანი" ქალიშვილი

ყვითლად გაუთხუპნია
თმა და რა თმა—გიშერი!
გაკრეჭილს და მკერდშიშველს
ზურგიც უჩანს შიშველი.
ეტრფის ძღარუნს, ბრახაბრუხს,
თავს სთვლის გამოჩენილად..
მშობლიური?—რას ამბობთ,
ხომ არ ჩამორჩენილა!
კონიაკსაც მიირთმევს,
თვითონ ამის მოწმე ვარ,
«ხუთზე» დაუფლებია
პაპიროსის მოწევას.
ახალ-ახალ სიტყვათა
ძებნაშია გართული,
«შაყირით» და «ნატურით»
გაამდიდრა ქართული!
ნუ აკადრებთ საყვედურს,
ნუ დასძრახავთ წყენითა,
ხომ არ ილაპარაკებს
მაშ ორღობის ენითა!
სხვა რა გითხრათ, რა ვკადრო
მის უმიზნო ხეტიალს...
რაც მელანი დავხარჯე,
მისთვის ესეც მეტია!

**ა. ბეგაშვილი**



— იპოლიტე, შეხედე რა მშვენიერ უნივერმაღს აშენებენ!
— მაგის აშენებას საწყობი აეშენებიათ ის ჯობდა, სულ ერთია, საქონელს მაინც იქიდან ყიდიან!



# ტრაგედია

შეიძლება თუ არა ჩვენი ცხოვრებიდან აღებულ მასალაზე დაიწეროს ტრაგედია? ამაზე დიდი ხანია დავობენ, როგორც თეორეტიკოსები, ისე პრაქტიკოსები, როგორც მგოსნები, ისე კრიტიკოსები. მე დავას არ დავიწყებ. დაგიხატავთ ერთ სურათს ჩვენი სინამდვილიდან და თვით განსაჯეთ, არის თუ არა ეს ტრაგედია.

არტელ „მადიანის" თავმჯდომარეს გარდაეცვალა აღმზრდელი, დედისა და ბებიის მაგიერი, უსაყვარლესი, უძვირფასესი და უსათნოესი დეიდა. არის თუ არა ეს ტრაგედია? რასაკვირველია, არის.

მწუხარების უკეთ და ხარისხიანი გამოთქმისათვის შეიკრიბა მთელი არტელის დიდ-პატარა. უკანასკნელი ცნობის თანახმად, რაკი დადგინდა თავმჯდომარის დეიდის დასაფლავების დღე, სასწრაფოდ განაწილდა ფუნქციებიც, თუ ვინ რა მონაწილეობას მიიღებდა უფროსის ნუგეშისცემის საქმეში. მლიქვნელებმა კარგად იცოდნენ, რომ აქ მარტო დეიდის დასაფლავება არ იქნებოდა. იმ დღეს გადაწყდებოდა დაწინაურება-არდაწინაურების საკითხები (ე. ი. „ყოფნა-არყოფნა"). არის თუ არა ეს ტრაგედია? არის! თბილისი რომ ვარდ-ყვავილების ქვეყანაა, ამას ჩვენ ხშირად ვისმენთ, დასაფლავების დღეს კი პრაქტიკულად ვრწმუნდებით. მოზღვავდა გვირგვინებისა და თაიგულების ლანქერი. როგორი გამომგონებლობა გვირგვინებისა, როგორი გულამაჩუყებელი სიტყვები წარწერებისათვის. ასეთი მონდომებითა და ენერგიით რომ იბრძოდნენ არტელ „მადიანის" წევრები პროდუქციის ხარისხისათვის, საკავშირო მასშტაბით გაითქვამდნენ სახელს. და იყო ცრემლის ღვრა. თავმჯდომარე (მდგომარეობითა და თანამდებობით მას ცრემლი არ შვენის) იდგა კუბოსთან თავაწეული და თავისი შეუდრეკლობით ამარცხებდა სიკვდილს. იცქირებოდა წინ, შორს. მისი სახე აშკარად ლაპარაკობდა:

— მოგსპობ, სიკვდილო, შენ ძვირფასი დეიდა წამართვი, მაგრამ ვნახოთ, რას დამაკლებო?

ამას ფიქრობდა თავმჯდომარე და არ ტიროდა. მხოლოდ ხანდახან გადმოხედავდა მომსვლელთ იმის შესატყობად, თუ ვინ როგორ თანაუგრძნობდა. დიახ, არ ტიროდა თავმჯდომარე. სამაგიეროდ ტიროდნენ მისი მოადგილეები, მლიქვნელები, ტიროდნენ ცხარე ცრემლით. ასე არ ატირდებოდა არავინ, თვით თავმჯდომარე რომ მომკვდარიყო (მაშინ სატირალი რაღა ექნებოდათ). საოცარი სურათი იყო. იმდენად საოცარი, რომ არ დაიჯერებთ. ზოგიერთების თქმით, თითქოს თვით მიცვალებულსაც კი გადმოსცვივდა რამდენიმე ცრემლი.

თავმჯდომარე იდგა გაუტეხელი და ათასი გეგმით სავსე გასცქეროდა შორეთს.

არის თუ არა ეს ტრაგედია? არის.

შეიძლება თუ არა ტრაგედიის დაწერა?

რასაკვირველია, შეიძლება.

აბა თქვენ იცით, დრამატურგებო.

**გრ. ბერძენიშვილი**

# აი პატიოსანი კაცი

ვუძღვნი ზოგიერთ საბინაო სამმართველოს და სარემონტო კანტორას.

ავტორი

ამ დილით ერთი მეგობარი შემხვდა. გახარებული იყო. ის დიდი ხანია იბრძვის ბინის კაპიტალური შეკეთებისათვის, საბინაო სამმართველო კი რატომღაც აჭიანურებს.

და აი, ეტყობა, უკვე მიაღწია წარმატებას, რაკი ასე გახარებულია.

— ძლიერ კმაყოფილი ვარ, ძლიერ... უჰ როგორი კმაყოფილი ვარ.—მეუბნება.

— მოგილოცავ. კარგად შეაკეთეს ბინა?

— შეაკეთესო?—გაიოცა მეგობარმა,—საქმეც ის არის, რომ არ შეაკეთეს და სწორედ ამით ვარ ბედნიერი, სწორედ ეს მიხარია.

და მომიყვა თავისი სიხარულის ამბავი.

— როგორც იქნა, გადაწყდა ჩვენი სახლის კაპიტალური შეკეთება. სარემონტო კანტორამ გამოგზავნა სხვადასხვა სახის მასალა, რომლებსაც თან მოჰყვა სამუშაოთა მწარმოებელი კირილე ვახვახიშვილი.

— აი ნახეთ,—ვეუბნები,—რა დღეში ვართ. იატაკი ჩავარდნას აპირებს.

— სწორია.—დაადასტურა კირილემ, როცა იატაკი დაათვალიერა.

— ფანჯრების და კარების ჩარჩოები ლპება.

— სწორია.

— ერთი კედელი ცუდადაა მობათქაშებული, მეზობლის ბინიდან ისმის ფეხის ხმა.

— ესეც სწორია.—კვლავ დაადასტურა კირილემ, როცა მეზობლის ბინიდან მართლაც მოისმა ბრახიბრუხი,—ნუ გეშინიათ, იატაკს გავაკეთებთ, კედელს ხელახლა მოვაბათქაშებთ, კარებს შევცვლით, ფანჯრის ჩარჩოებს გამოვცვლით.

— სახურავიდან წყალი ჩამოდის.

— შევაკეთებთ.

სიხარულმა ალმიტაცა. ძვირფასი კირილე სუფრაზე მივიპატიჟე, მაგრამ კირილემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

— შენ არ მომიკვდე, ცოლ-შვილი არ დამეხოცოს, არავითარ შემთხვევაში.

— თითო ჭიქა, კირილე!..

— პა, პა, პა, პა!.. შენ არ მომიკვდე. მე სხვანაირი კაცი ვარ. იმ ოჯახს, სადაც პურმარილს მივილებ, ვერ ვუღალატებ, ვერ მოვატყუებ.

— სწორედ მაგისთანა კაცი მიყვარს მეც. მოკიდე ხელი ამ ჭიქას. ეს ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოს.

— გევედრებით, ნუ დამაძალებთ...

არ მოვეშვი, სანამ ჭიქა არ ასწია.

ასწია და წარმოთქვა:

— ვინც გიღალატოს, ვინც თქვენს ბინას ცუდი რემონტი გაუკეთოს, ასე დაემხოს მისი ოჯახი!

— შენ გენაცვალე, კირილე! შენს მოღალატესაც ხმალი ვადაში გადაუტყდეს...

დავლიე და დავალევინე. «მრავალჟამიერი» დავალუღუნეთ და... კირილემ უცებ მოიწყინა.

— რა მოგივიდა, კირილე!

— სხვანაირი კაცი ვარ,—თქვა კირილემ და ცრემლი მოიწმინდა,—რაკი თქვენს ოჯახში ღვინო დავლიე და პური გავტეხე, მორჩა და გათავდა—ცუდ რემონტს თქვენს ბინას ვერ გავუკეთებ.

— შენი ჭირიმე, კირილე!

— შენს ბინას ისეთი რემონტი უნდა გაუკეთდეს, რომ საშვილიშვილოდ დარჩეს.

— შენ გენაცვალე, კირილე!..

— ჰოდა, თქვენს ბინას, ერთი მშვენიერი პურ-მარილის მიღების შემდეგ, რემონტს არ გავუკეთებ. მე პატიოსანი კაცი ვარ.

— არ გადამრიო, კირილე!

— აი, მაგალითად, რატომ გინდათ ეს იატაკი გამოვცვალოთ?

— დამპალია.

— ეს დამპალი იატაკი ოც წელიწადს მაინც გაძლებს, თუნდ ზედ ყოველდღე იბუქნაოთ. ჩვენი სარემონტო კანტორის მიერ გამოგზავნილი ფიცრები რომ დავაგოთ, სულ მოკლე ხანში შეიკუმშებიან, მშიერი მგლებივით პირს დააღებენ, მერე ისეთ ჭრიჭინს დაიწყებენ, რომ ქუჩაში ძაღლები აყეფდებიან... გინდათ?

— რას ამბობ, კირილე!

— ან ამ კარ-ფანჯრების გამოცვლას რად მოითხოვთ?

— ლპება, კირილე.

— ჰოდა, ეს კარ-ფანჯრები რომ ახალი ხე-ტყის მასალით გამოვცვალოთ, თუ გააღეთ, ველარ დაკეტავთ, ხოლო, თუ დაკეტეთ, ველარ გააღებთ. გინდათ?

— რას ამბობ, კირილე!

— აი თუნდ ეს კედელი. რა უშავს, იყოს როგორც არის.

— ფეხის ხმა ისმის მეზობლის ბინიდან.

—ჰოდა, ჩვენ რომ ხელახლა მოვაბათქაშოთ, მაშინ გაიგონებთ არა მარტო ფეხის ხმას, არამედ ლაპარაკსაც, ტელეფონის ზარის ხმასაც, დაძინებული მეზობლის ხვრინვასაც, სუნთქვასაც, ცხვირის დაცემინებასაც... გინდათ?

— არავითარ შემთხვევაში!

— აი იმ კუთხეში გობი რადა დგას?

— სახურავიდან წყალი ჩამოდის...

— ჰოდა, ამისთანა გობი ჩვენი რემონტის შემდეგ დაგჭირდება კიდევ ოთხი, გინდათ?

— არა, არა, მიშველე, კირილე, არ მინდა რემონტი, არ მინდა რემონტი...

— ნუ გეშინიათ, თქვენი ოღბალი, რომ მე თქვენს ოჯახში პური გავტეხე. მიგულვეთ მეგობრად, არასოდეს არ გავაკეთებ თქვენს ბინაში კაპიტალურ რემონტს, არასოდეს... მე პატიოსანი კაცი ვარ.

— გმადლობთ, კირილე. დიდ უსიამოვნებას გადამარჩინე.

— მეგობრისათვის ცეცხლში შევვარდები.

— მაგრამ, იქნებ სჯობდეს სახლის წინა ფასადი მაინც შეგველესათ და შეგეღებათ, დიდი ხანია არ შეღებილა.

— დამიჯერეთ, ძმაო, დარჩეს ისე, როგორც არის. ჩემთვის ძნელი არ არის. შევლესავ-შევღებავ, მაგრამ რად გინდათ! დაემსგავსება თბილისის № 5 აბანოს, რადგან ყველა სახლს ჩვენ ვღებავთ მხოლოდ ერთი ფერით—ცემენტის ფერით. პირველი წვიმის შემდეგ საღებავი და ბათქაში ჩამოირეცხება, სახლი გაშავდება, ასი წლის უკბილო დედაბერს დაემსგავსება... გინდათ?

— არა, არ მინდა რემონტი, არ მინდა რემონტი...

— მოკვდეს კირილე, თუ გიღალატოს.

— უჰ, შენ აგაშენოს ღმერთმა! გმადლობთ, ჩემო კირილე... ასწი კიდევ ერთი ჭიქა. შენ მართლაც პატიოსანი კაცი ყოფილხარ. მაგრამ ერთი კითხვა მაქვს: თქვენს სარემონტო კანტორაში როდემდე უნდა დარჩეს ასეთი ბრწყინვალე სტილი და გამოცდილება?.. ახ, როდემდე, როდემდე, ძმაო კირილე, მოგვეცი ამის პასუხი, მამა ნუ წაგიწყდება!

გ. ლიაძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



ზოგიერთ რესტორანში

— მეგობარო, ეს კოვზი გარეცხილია?

— რას ბრძანებთ, ბატონო, გარეცხილი კი არა, გაწურულიცაა.



მეგობრული შარჟი გ. ფირცხალავასი

„საჰიდაოს“ მუსიკის ავტორები მუშაობის დროს.

# მინიატურები

**ავტორი**—ეს ერთი ნაწარმოები დამიბეჭდეთ და, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მეტს არ დავწერ.

**რედაქტორი**—იცოდეთ, სიტყვა სიტყვაა.

* * *

— რედაქტორის თხოვნით, ეს ლექსი ეს-ეს არის გადავამუშავე. იმედია ახლა მაინც მოგეწონებათ და გამოაქვეყნებთ,—მიმართა ერთმა ახალგაზრდამ რედაქციის მდივანს და ხელნაწერი გადასცა.

მდივანმა დამუშავებული ლექსი გულდასმით გადაიკითხა.

— როგორ,—გაკვირვებით წამოიძახა მან,—ადრე ამაზე უარესი იყო?

ა. ბახილაია

# კეთილშობილური საქციელი

(პაროდია-ინფორმაცია)

გავსებული მთვარის სხივები არემარეს საამოდ დასთამაშებდა. პატიოსანი შრომით დაღლილი სოფელი უდარდელ ძილს მისცემოდა. კოლმეურნეობის კრებიდან დაბრუნებული მიხეილ პატარქალიშვილი დინჯად მოჰყვებოდა მშობლიურ ორღობეს. უცებ საკოლმეურნეო სიმინდის ნაკვეთიდან ფრთხილი ხმაური მოესმა. პატარქალიშვილი არ დაიბნა. გადაძვრა ღობეზე, ინტუიციით მიჰყვა ხმაურს და რას ხედავს: ასე, ორ-სამფუთიან ღორს უტიფრად გაუჩრია პირში სიმინდის ტარო და ოლიმპიური სიმშვიდით ახრამუნებს. მშრომელი კოლმეურნე სიბრაზემ აიტანა და საკოლმეურნეო დოვლათის გამჩანაგებელს მოზრდილი ქვა ესროლა. ღორი ადგილიდან დაიძრა. წინ ის და უკან მიხეილი! მიჯლიგინებდა ეს ვერაგი არსება და ნაკვალევზე უმოწყალოდ გადატეხილ სიმინდებს ტოვებდა. შეჩერდა პატარქალიშვილი: ასეთი ორთაბრძოლით მალე მთელი ყანა ჰორიზონტალურ მდგომარეობას მიიღებდა. არადა, საზიზღარი ცხოველი დილამდე მთელ საკოლმეურნეო დოვლათს გადაჭამდა.

— ასეთი პარაზიტები არ უნდა ცოცხლობდნენ ქვეყნად! —ხმამაღლა თქვა მიხეილმა და მტკიცე გადაწყვეტილებით სახლისკენ დაიძრა...

... იქუხა თოფმა და შუბლგანგმირული ბოროტმოქმედი უსულოდ დაეცა ძირს. პატარქალიშვილი ხალხის წინაშე ვალმოხდილი კაცის გამომეტყველებით მიუახლოვდა მსხვერპლს. მას კმაყოფილების ღიმილი მერეც არ განელებია, როდესაც საკოლმეურნეო დოვლათის გამჩანაგებელში თავისი ღორი შეიცნო...

ჯარი ჯარალიშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი




ზოგიერთი ახალგაზრდა საკუთარი სკოლის წინ.

# ხატუშა

მგზავრი და ტრამვაის მძღოლი

ტრამვაით მგზავრობდა ერთი კაცი. ტრამვაი ძალზე ნელა მოძრაობდა, მგზავრი ნერვიულობდა.

— სასწრაფო საქმეზე მაგვიანდება, ჩქარა წაიყვანე!—შეჰყვირა მძღოლს.

— არ შემიძლია! გრაფიკით ადრე მივდივარ და გზაში უნდა გამოვასწორო.

— ჩემს ხარჯზე გინდა გამოასწორო?! მე რა ვქნა?!

— მომდევნო ტრამვაის დაგვიანება აქვს და, სწრაფად დადის. თუ გსურთ, იქ გადაჯექით.

გამოცდილების გაზიარება

ორი ახალგაზრდა შეხვდა ერთმანეთს.

— მირჩიე როგორ მოვიქცე?—შეეხვეწა ერთი,—ცხრაჯერ მივუტანე ერთი ლექსი დასაბეჭდად რედაქტორს და ცხრაჯერვე უარი მითხრა.

— ცხრა ლექსი მიუტანე ერთხელ და მხოლოდ ერთხელ გეტყვის უარს,—მიუგო მეორემ.

გ. კაზაროვი

# ყველაფერი მოდის ბრალია

თეოფილეს ოჯახის მოწმენდილ ცაზეც გამოჩნდა შავი ღრუბელი. მისი შვილებიც ვერ ასცდნენ «მოდის» ავადმყოფობას: კესო «კისკად» იქცა, ხოლო ილარიონი—«ილკად».

კესომ, გახდა თუ არა სტუდენტი, მაჯის სისქე ნაწნავები ჭირისუფალივით ჩამოიშალა, მერე ისე შეიკრიჭ-შემოიკრიჭა, ვერ მიხვდებოდით, კაცი იყო, თუ ქალი.

— ახალი ნატიფარი რომ ადგება ლოგინიდან, თლათ იმას გავს, აი უტიფარი,—დაიჩივლა თეოფილემ. კესომ სუბტროპიკული ფაკულტეტი რომ დაამთავრა, თეოფილეს ეგონა, კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს მიხედავდა, მაგრამ, «ვაი შენს მამას, შვილო, ჭლექი ჰქონია ფილტვებში» (ასე დაუწერა ნაცნობმა ექიმმა და დატოვეს თბილისში).

— მწყერივით გოგო გამოვუშვი, ახლა საჭმელს არ ჭამს თურმე, გასუქების ეშინია, გამხმარი ქალებია მოდაშიო! მაი რავა მეგონა, აიც თუ მოდა იქნებოდა, ჩემი აგრაფინე ყოლიკაცს აჯობებდა, მწევარი ძაღლივით აქ წელი.

ახლა სამსახური იკითხეთ?! ჯობია ნუ მკითხავთ, ტრესტია თუ რაცხა ჯანაბე, იქინე მოეწყო, მარა აგრონომად კი არა, ვინცხა დიდი კაცის მდივნად, ჯდანა რვაი საათი სკამზე, იმზირება სარკეში, ისობს ტუჩზე და ფრჩხილებზე წითელ საღებავს, უკავია ტელეფონი ხელში და ატანტალებს ენას თელი დღეი, აგია მისი სამსახური!

— მეტი არაა ჩემი მტერი, შენ ვერ გათხოვდე! ხელის ფრჩხილი არ იკმარე ხომ, ფეხისაც დეიწითლე და დადიხარ საჯაყად ბატივით!.. აიც მოდაა?!..—არ ცხრებოდა თეოფილე.

— მაი კიდო არაფერი, რაცხა რკინის რგოლები აქ გაკეთებული მკლავებზე... მისი ქლარუნი ერთ ვერსზე ისმის. ერთი მეწველი თხაი მყავდა და იმას ვაზამდი ამფერ ეჟვანს, რომ არ დამკარგოდა. ამას კი რა დაკარგავს,-ვის რათ უნდა, აი აბდალი გოგო?...

ვაი მის მოსწრებას, ვაჟიშვილსაც გადაედო ეს სენი.

მისმა ვაჟმა ილარიონმა პროფესორის ქალიშვილი შეირთო, დაბმულ ქაჯს ააწყვეტიებს, იმფერი სანახავია, მაგრამ... ჩასიძებია ხუთოთახიან ბინაში და «ვოლგაც» კი უჩუქნია სიმამრს. ერთ დღეს სტუმრად მისულა თეოფილე ვაჟთან, შესული არ იყო ჯერ, კარებში მიაძახეს: «ფეხები გაიწმინდეო!»—ეწყინა თეოფილეს,—«რავა, საბურთალოს ბოლოში კი არ მიმიღია ბინა, ფეხები გასაწმენდი მქონდესო». იფიქრა, რძალი კარგად მიმიღებს, მამაშვილურად გადამკოცნისო, მაგრამ «გაწია დრუნჩი იქით»-ო, იჩივლა თეოფილემ.

ბავშვი შესანიშნავი ყოლია მის ვაჟს, მაგრამ საშინელი უზნეო და უხასიათო. საჭმლის ჭამის დროს მისულა თეოფილე, მის რძალსა და მძახალს ბავშვისათვის გადუგრეხიათ თავი, გაუკავებიათ ფეხები და ისე ჩაუსხამთ ფაფა პირში.

— ასთე ჩვენში ღორს კლავენ,—ვერ მოითმინა თეოფილემ.

მისაფერებლადაც არ მიუშვეს, „ინსპექცია“ არ მიუტანოს ბავშვსო.

— აბა, ჩამოაცვით თავზე შუშის ქილა და ქე გყავდეთ იმაში. რას გავს აი?—უთქვამს თეოფილეს.

დამწუხრებული გაუდგა თურმე გზას გურიისაკენ. ზოლოს შეეხვეწა ვაჟიშვილს:

— ბიჭო, აი წითელი ბლუზა მაინც რა უბედურებაა, გურიაში ჩამოსვლას თუ დააპირებ, აი მაინც გეიხადე, თვარა ერთი ბუღა-ხარი რომ გვყავს, იგი ვერ იტანს ამფერ ბრდღვიალა წითელს და დაგგლეჯს, დევიღუპებიო.

მთელი გზა სულ იმაზე ფიქრობდა: ნეტა ვინაა იგი უსაქმო, ამ მოდას რომ იგონებს? ერთი იგი ჩამაგდებია ხელში და მერე მე ვიცი რაცხას ვუზამო...

თ. ჟორჟოლიანი

# მეტამორფოზა

ამას რას უყურებთ, ახლა რა ვარ. სოფელში უნდა გენახეთ. ისეთი გამოწკეპილი ბიჭი ვიყავი, ეშინოდათ, წელში არ გადატყდესო.

ქალაქში მორგვს დავემგვანე.

საკმარისია ვინმეს არ ვასიამოვნო, რომ ნიშნისმოგებით მომაძახოს:—შე გაბერილოო!

მინდა ქეჩოში ვწვდე შეურაცხმყოფელს, მაგრამ ორი ნაბიჯის გადადგმა და ენას ცოფიანი ძაღლივით გადმოვაგდებ.

აი როგორ მოხდა ჩემი მეტამორფოზა.

როგორც ყველა მოწადინებულმა ახალგაზრდამ, უმაღლესი მეც წარმატებით დავამთავრე.

პირდაპირ საპასუხისმგებლო ადგილზე დამნიშნეს.

ედემის ბაღში ერთი ვარდი რომ მომეწონა, მებაღემ მითხრა: სიძევ, შე ძველოო, და დავოჯახდი.

დაოჯახებული და სწავლა-განათლებით შეიარაღებული შევები ცხოვრებას.

ერთ მშვენიერ დღეს ახალ ბინაში გამომეღვიძა.

ჭიდან წყალს ამოვიღებ და პირს დავიბან-მეთქი, რომ ვთქვი, ცოლმა ბროლის თითები გაიშვირა და იქვე ონკანზე მიმითითა.

ჩავალ, შეშას დავაპობ-მეთქი, მაგრამ... ვერა ხედავ, ცენტრალური გათბობაა და ისედაც ცხელაო.

საჭმელს ცენტრალურ გათბობაზე ხომ ვერ გააკეთებ-მეთქი, რომ ვთქვი, აგერ გაზია, ბატონო, და გინდა შეგიწვავ, გინდა მოგიხარშავ და გინდა მოგიხრაკავო.

— რძეს და მაწონს მაინც მოვიტან, ძროხის ნაწარმი სასარგებლოა, ორგანიზმისათვის აუცილებელია და, ორი დღე რომ ვცოცხლობთ ამ წუთისოფელში, ეს სიამოვნება რატომ უნდა დავიკლოთ, ცარიელ ჩაიზე რატომ უნდა გადავიდეთ-მეთქი, გავიკრიფე ენად და, ის-ის იყო, ქუდი დავიხურე და გასვლა დავაპირე, რომ კარებზე მოაბრახუნეს და, რომ გავაღე:

— მაწოოონი, მალაკო,— მომაყვირეს.

— პური მაინც ხომ გვინდა?—მწყრალად ვეუბნები ცოლს და ერთი სული მაქვს მითხრას—წადი, მოიტანეო, მაგრამ არ შეგჭამოს «ტარაკანამ‘‘.

— უკვე შევუკვეთე, ბატონო ჩემო, თონის ცხელცხელ პურებს ხუთ წუთში მოიტანენო.

სამსახურში წასასვლელად რომ გავვარდი, მეზობელმა ,,ვოლგით‘‘ მიმასრიალა. შინ ფეხით დაბრუნება რომ გადავწყვიტე, ტრამვაი-ტროლეიბუსების სიმრავლემ ამიჭრელა თვალი და ჩემდა უნებურად ერთ-ერთში მოვკალათდი.



სადაც არ გამომიძახეს, ყველგან ლიფტით ამიყვანეს, მივლინებაში რბილი ვაგონებით მაგზავნიდნენ, ადგილზე კომფორტაბელური მსუბუქი მანქანები დამაქროლებდა რბილად და თვლემას მგვრიდა.

აბანოში წასვლა რომ მომინდა, ჩემმა ცოლმა:— შებრძანდი, თვალის სინათლევ. აბაზანა გაცხელებულიაო.

კინოში წასვლა რომ შევთავაზე:—კინოში რა გინდა, აგერ მხარ-თეძოზე წამოწექი და უყურე, ტელევიზორში შესანიშნავი გადაცემააო.

ერთ დაწყევლილ დღეს გამომეღვიძა და მეორე გვერდზე გადაბრუნება ძლივს მოვახერხე, იმსიდიდე ღიპი დამდებოდა.

რა არ ვცადე, მაგრამ ჩემს დაჩუტვას საშველი არ დაადგა.

ერთხელ, ჩემდა ბედად, ერთი ინსტიტუტელი მეგობარი შემხვდა—ჩხირივით იყო გამხდარი. რა მოგივიდა-მეთქი. რა და, რაღაც ჭირად, ლექსების წერა დავიწყე და რედაქციებს შორის სირბილში ჩამოვხმი, კაცი აღარა ვარო.

— ევრიკა! ევრიკა! — ვიყვირე აღტაცებულმა და, თუმცა ჩინებულად მეცვა, ქუჩაში არქიმედივით გავვარდი.

საჩქაროდ მივირბინე სახლში და სამი ლექსი და ორი პოემა ერთ საათში დავწერე.

გადავწყვიტე: ამ ნაგავს, ვიცი, რომ არსად არ დამიბეჭდავენ, მაგრამ რედაქციებში ვირბენ და ღიპი დამივარდება-მეთქი და იმ ღამეს სალათას ძილით ვიძინე.

მაგრამ არა... არ დამადგა საშველი... ისე მომივიდა «საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო», რომ იტყვიან.

რედაქტორი ჩემი მეგობარი აღმოჩნდა.

ჟურნალის უახლოეს ნომერში სხვა მასალა ამოიღო და ჩემი ლექსები და პოემები ჩაუშვა. ამგვარად ჩამივარდა კოვზი ნაცარში.

**ნომო**

ზოგიერთ საჩაიეში ჩაის მაგივრად მაგარ სასმელებს ყიდიან.

ნახ. ლონისა



— ამ ჩაის ჭიქით ჩვენს ძმას, საჩაიეს გამგეს გაუმარჯოს, რომელიც ჩაის მაგივრად ჩაის ჭიქებით ღვინოს გვასმევს!

## მოსაზრებული პაციენტი

სოფლიდან ჩამოსულ დედაბერს ოპერაცია გაუკეთეს. როცა ჭრილობა შეხორცდა, ქირურგმა ძაფები შეჭრა და გაეხუმრა:—იცოდე, თუ «მალარიჩი» არ იქნება, ჭრილობა საიქიოს გაგეხსნებაო.

— გამეხსნება და განა იქ ცოტანი არიან თქვენისთანა ქირურგები. მეც ავდგები და ახლა იმათ გავაკერინებო.

## უჯიგრო

გოგიას ბიძა ერთ-ერთი დაწესებულების დირექტორი იყო. ცოლი, შვილები და ნათესავები თავისთან ჰყავდა თანამშრომლებად მოწყობილი.

— შვილო, წადი ბიძაშენთან, გაეხარდებაო,— შეეხვეწა დედა ახალინსტიტუტდამთავრებულ გოგიას.

— არა, დედი, ჯერ ვერ წავალ. ბიძაჩემის ხასიათი ხომ იცი, მაშინვე თავის დაწესებულებაში მომაწყობს. მე კი ჯერ სამსახურის თავი არა მაქვს.

**მ. თომაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი სისტემატურად ღებულობს პასუხებს გამოქვეყნებულ ფელეტონებსა და წერილებზე. უდავოა, მკითხველებს აინტერესებთ, თუ რა შედეგი მოჰყვა ამა თუ იმ კრიტიკული მასალის დაბეჭდვას. 1960 წლის გასული თვეების მანძილზე დაბეჭდილი ზოგიერთი ფელეტონის შესახებ ნიანგი აქვეყნებს სხვადასხვა ორგანიზაციიდან მიღებულ პასუხებს.




## ახალსოფლელთა ახალი დაპირება

მიმდინარე წლის მე-2 ნომერში ნიანგმა დაბეჭდა წერილი სათაურით: „14 წლის შემდეგ“. მასში აღნიშნული იყო, რომ 14 წლის წინ თიანეთის რაიონის სოფელ ახალსოფელში ერთდროულად დაიწყეს კლუბისა და აბანოს მშენებლობა. მას შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა და დღემდე არც აბანოს დასჰირვებია წყალი და არც კლუბის შენობის დამთავრებას დაადგა საშველი.

საქართველოს კპ თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. დ. გონჯილაშვილი გვატყობინებს, რომ კოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა ნიანგის წერილი და მიიღო გადაწყვეტილება, რათა კლუბისა და აბანოს მშენებლობა დამთავრებული იქნას მიმდინარე წლის ბოლომდე. უნდა ვიფიქროთ, რომ ახალსოფლელები ამ ახალ გადაწყვეტილებას სისრულეში მოიყვანენ და ახალ წელს ახალი შენობებით შეხვდებიან.

## ბიბლიოთეკა იმუშავებს

იანვარში ნიანგმა გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ეხებოდა სოფელ ლამისყანის ბიბლიოთეკის გამგის თამარ პავლიაშვილის ცუდ მუშაობას. საქართველოს კპ კასპის რაიკომი გვწერს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მშრომელთა დეპუტატების კასპის რაიონული საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ ბიბლიოთეკის გამგეს თ. პავლიაშვილს სამსახურებრივი მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა და შრომის დისციპლინის უხეში დარღვევისათვის გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით. თუ ამ საყვედურმაც საქმეს ვერ უშველა, მაშინ ისეთ ღონისძიებას გაატარებენ, რომ ლამისყანელებს მომავალში არაფერი ჰქონდეთ სასაყვედურო.

## სიტყვა მშენებლებს ეკუთვნით

ნიანგმა თავის მე-3 ნომერში დაბეჭდა წერილი „ჩემი დაბადება“. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ამხ. შ. ჭალაგანიძე გვატყობინებს, რომ 1960 წლის გეგმით მცხეთაში გათვალისწინებულია 100-საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა. ნიანგი წარმატებას უსურვებს მშენებლებს, რომ მალე აღნიშნონ მცხეთაში ახალი საავადმყოფოს „დაბადება“.

## ნიანგს სწერენ

მკითხველებს კარგად ახსოვთ ნიანგის წერილი „შემოსავლიანი ქორწილი“, რომელიც ეხებოდა ისეთ დამახინჯებებს, როდესაც ხალხმრავალ ქორწილებს იყენებენ შემოსავლის წყაროდ, სადაც აგრეთვე ადგილი აქვს ფულზე ნარდისა და ბანქოს თამაშს. საქართველოს კპ ქობულეთის რაიკომის მდივანი ამხ. ა. გოგიტიძე გვწერს, რომ რაიონული კომიტეტის ბიურომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დასახა ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

## სერიოზული ღონისძიებები

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტი დროულად გამოეხმაურა ნიანგის მიერ მარტის თვეში გამოქვეყნებულ წერილს—„უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერებიდან“, ქალაქკომის მდივანი ამხ. ე. ტაკიძე გვწერს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით დადასტურდა. ამასთან დაკავშირებით პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი ქალაქში სანიტარული მდგომარეობის შესახებ და სასტუმრო „ქუთაისის“ დირექტორს გ. მეფარიშვილს სასტუმროში სანიტარული მდგომარეობის არასათანადო დონეზე დაყენებისათვის გამოუცხადა საყვედური. ქალაქის ზოგიერთ უბანში და მდინარე რიონის სანაპიროებზე ანტისანიტარული მდგომარეობის დაშვებისათვის საყვედური გამოეცხადა ქალაქის დასუფთავების კანტორის უფროსს ტ. წიქორიძეს. პარტიული სასჯელი დაედოთ აგრეთვე სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს თ. სულაქველიძეს, საკონდიტრო ფაბრიკის დირექტორს შ. სალდაძეს და მთელ რიგ სხვა მუშაკებს.

სანიტარული მდგომარეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ქალაქკომის ბიურომ დასახა კონკრეტული ღონისძიებები. ნიანგი დარწმუნებულია, რომ ქალაქის ხელმძღვანელთა მიერ მიღებული ზომები უზრუნველყოფენ ნაკლოვანებათა გამოსწორებას და მომავალში საჭირო აღარ იქნება ამ საკითხზე კვლავ დაიბეჭდოს უცნობი ან ნაცნობი ჟურნალისტის წერილი.

ნიანგი ამით ამთავრებს შემოსული პასუხების მიმოხილვას და უახლოეს დროში კვლავ გააცნობს მკითხველებს მის ფურცლებზე დაბეჭდილი წერილების შედეგად მიღებული ზომებისა და ღონისძიებების შესახებ.

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.

რედაქციის მისამართი: რუსთაველის გამზ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49.

გამომც. № 9. ხელმოწ. დასაბ. 3/V-1960 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. შეკ. № 674 უე. 02832. ტირ. 40.000




ბონელი რევანშისტები ყველაფერს აკეთებენ ფრანკოს ესპანეთთან კავშირის დასამყარებლად მშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ძველი მეგობრობის ახალი ვარიანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა
267
16/V 60